აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 8

05 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თამაზ შარმანაშვილი, გია გარსევანიშვილი და თენგიზ ცინცქილაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქის შექმნის მათი საზღვრებისა და ნომრების განსაზღვრის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;

(მომხს. ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

6. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;

(მომხს. ა. მიქელაძე)

7. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

8. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

9. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

10. განკარგულება
უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

11. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

12. განკარგულება
უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28[1] მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

13. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2008 წლის 09 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხდებული იქნა საომარი მდგომარეობა, რის საფუძველზეც საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები გადაიდო. ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 03 ნოემბერისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, აღნიშნულიდან გამომდინარე საარჩევნო პროცესები უნდა განხორციელდეს კანონის შესაბანისად ანუ უნდა მოხდეს ყველა საარჩევნო მოქმედების შესრულება და შესაბამისად ადრე მიღებული აქტები ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს იქედან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ მ/წ 04 აგვისტოდან 09 აგვისტომდე მიღებულ აქტებში

აღნიშნულია უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერის არჩევნები და მითითებულია კონკრეტული ვადები რის საფუძველზეც უნდა შესრულებულიყო ესა თუ ის საარჩევნო ღონისძიება საარჩევნო სუბიექტის თუ სხვა ორგანოს ან პირის მიერ რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო საარჩევნო პროცესთან. ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულება უნდა გამოქვეყნდეს პრესაში გამომდინარ იქედან, რომ მოცემული განკარგულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა ის განკარგულებები რომლები საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებული იქნა პრესაში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩენო კომისია **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის:

ა) 2008 წლის 05 აგვისტოს №6 განკარგულება - საარჩევნო ოლქის შექმნის მათი საზღვრებისა და ნომრების განსაზღვრის შესახებ;
ბ) 2008 წლის 05 აგვისტოს №10 განკარგულება - აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. **განკარგულება**
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2008 წლის 09 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხდებული იქნა საომარი მდგომარეობა, რის საფუძველზეც საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერს დანიშნული არჩევნები გადაიდო. ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 03 ნოემბერისთვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, აღნიშნულიდან გამომდინარე საარჩევნო პროცესები უნდა განხორციელდეს კანონის შესაბანისად ანუ უნდა მოხდეს ყველა საარჩევნო მოქმედების შესრულება და შესაბამისად ადრე მიღებული აქტები ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს იქედან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ მ/წ 04 აგვისტოდან 09 აგვისტომდე მიღებულ აქტებში აღნიშნულია უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 04 ოქტომბერის არჩევნები და მითითებულია კონკრეტული ვადები რის საფუძველზეც უნდა შესრულებულიყო ესა თუ ის საარჩევნო ღონისძიება საარჩევნო სუბიექტის თუ სხვა ორგანოს ან პირის მიერ რომელთა საქმიანობაც მიმართული იყო საარჩევნო პროცესთან. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩენო კომისია **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის:

ა) 2008 წლის 05 აგვისტოს №7 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;
ბ) 2008 წლის 05 აგვისტოს №8 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ;
გ) 2008 წლის 05 აგვისტოს №9 განკარგულება - აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;
დ) 2008 წლის 05 აგვისტოს №11 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
ე) 2008 წლის 07 აგვისტოს №12 განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ;
ვ) 2008 წლის 07 აგვისტოს №13 - განკარგულება უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;
ზ) 2008 წლის 07 აგვისტოს №14 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;
თ) 2008 წლის 07 აგვისტოს №15 განკარგულება - უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28^1 მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, საუბნო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ;

ი) 2008 წლის 07 აგვისტოს №16 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვის შესახებ;

კ) 2008 წლის 08 აგვისტოს №17 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

ლ) 2008 წლის 08 აგვისტოს №18 განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშების ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;

მ) 2008 წლის 08 აგვისტოს №19 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ნ) 2008 წლის 08 აგვისტოს №20 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ო) 2008 წლის 08 აგვისტოს №21 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

პ) 2008 წლის 08 აგვისტოს №22 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ჟ) 2008 წლის 08 აგვისტოს №23 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

რ) 2008 წლის 08 აგვისტოს №24 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ს) 2008 წლის 08 აგვისტოს №25 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქის შექმნის მათი საზღვრებისა და ნომრების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად უმაღლეს საბჭოს არჩევნებისას იქმნება 6 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქების შექმნის მათის საზღვრების სახელწოდებების და ნომრების დადგენა უნდა მოხდეს

უსკო-ს მიერ რის საფუძველზეც, აუცილებელია უსკოს მიერ შეიქმნას საარჩევნო ოლქები და განისაზღვროს მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 20-ე მუხლის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შეიქმნას 6 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. საარჩევნო ოლქების სახელწოდება და ნომრები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) №79 ბათუმის საარჩევნო ოლქი;
ბ) №80 ქედის საარჩევნო ოლქი;
გ) №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი;
დ) №82 შუახევის საარჩევნო ოლქი;
ე) №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი;
ვ) №84 ხულოს საარჩევნო ოლქი.

3. აჭარის ავტონომოური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყოველი თვითმართველი ერთეული წარმოადგენს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქს, თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტი) ადმინსტრაციული საზღვარი წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო ოლქის საზღვარს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შედიან 5 წევრი რომლებიც არჩეული არიან ცესკ-ოს მიერ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, ოლქის ერთ წევრს ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით უსკ-ო. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია საარჩევნო ოლქებში უსკო-ს მიერ ასარჩევ თითო წევრიზე გამოცხადდეს კონკურსი, და დადგინდეს კონკურის წესი, პირობები და ვადები. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის პირველი და მე-3

პუნქტების და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

განსაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობაზე ასარჩევ პირთა შერჩევის კონკურსის ჩატარების შემდეგი წესი, პირობები და ვადები:

1. 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში თითო წევრის არჩევის მიზნით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 59-ე დღისათვის (2008 წლის 5 სექტემბერი) უმაღლესი საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს უმაღლეს საარჩევნო კომისიის სამდივნოში 2008 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.

2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 18-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 17-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

3. კანდიდატი კონკურსში მონაწილედ ჩაითვლება სამდივნოში საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციის შემდეგ. არასწორად, არასრულყოფილად ან რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება;

4. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებმა კონკურსში მონაწილეობის მიზნით სამდივნოს უნდა წარუდგინოს შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება უსკოს სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა.ა) კანდიდატის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;

ა.ბ) განათლება;

ა.გ) სპეციალობა;

ა.დ) სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს);

ა.ე) სამუშაო ადგილი და თანამდებობა (თუ აქვს);

ა.ვ) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობა;

ა.ზ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);

ა.თ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

ბ) განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ბ.ა) შრომითი ბიოგრაფია და საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილების აღწერა (თუ ასეთი გამოცდილება აქვს);

ბ.ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ბ.გ) ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4;

ბ.დ) პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ.ე); საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;

5. დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ კანდიდატი მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს კანდიდატს უფლება აქვს განცხადება შეიტანოს მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე. თუ პირმა განცხადება შეიტანა, ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, ასევე არასწორად, არასრულყოფილად ან რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება, ასეთ შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება;

6. კანდიდატს, რომელიც უსკოს გადაწყვეტილებით მიწვეული იქნება გასაუბრებაზე, თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი კონკურსიდან მოიხსნება და მისი კანდიდატურა აღარ განიხილება;

7. კანდიდატს უფლება აქვს გამოიტანოს განცხადება ან შეცვალოს განცხადებაში აღნიშნული ვაკანტური თანამდებობა შესაბამისი განცხადებით საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვამდე;

8. უსკო კანდიდატთა დაუსწრებლად წყვეტს ყოველი კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, უსკოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა;

9. უსკოს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ინიციტივით მოითხოვოს კანდიდატთან გასაუბრება;

10. უსკო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით, კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;

11. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად, თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება;

12. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო ყველა ვაკანსია, დარჩენილ კანდიდატებს კენჭი ხელახლა ეყრებათ;

13. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც გააჩნია საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მეტი სტაჟი, იმავდროულად ყურადღება მიექცევა კანდიდატის საქმიან თვისებებს და რეპუტაციას;

14. თუ კონკურსის შედეგად ერთ ან მეტ საოლქო საარჩვენო კომისიაში ყველა ვაკანტურ თანამდებობა ვერ შეივსო, ხელახალი კონკურსი გამოცხადდება მხოლოდ დარჩენილ ვაკანსიაზე;

15. უსკოს მიერ ხელახალი კონკურსი ცხადდება კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 1 დღის ვადაში;

16. ხელახალი კონკურსის პირობები განისაზღვრება ამ განკარგულებით.

მუხლი 2. უმაღლესი საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 56-ე დღისა (2008 წლის 8 სექტემბერი).

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, საარჩევნო კანონმდებლობით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ასარჩევად საკონკურსო პირობებს ვადებს და წესს განკარგულებით განსაზღვრავს უსკ-ო, ასევე აღნიშნა, რომ იქმნება სამდივნო სამი პირის შემადგენლობით რომლების საარჩევნო ოლქის წევრობის კანდიდატებისგან მიიღებს კანონით დადგენილი დოკუმენტებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამუსაო ღღის 10 სთ-დან 18 სთ-მდ. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 29 განკარგულების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილ №79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი თითოეულ საარჩევნო ოლქში თითო ვაკანტურ თანამდებობაზე.

მუხლი 2. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის კონკურსის ჩატარების წესი, პირობები და ვადები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 სექტემბრის № 29 განკარგულებით.

მუხლი 3. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იქმნება სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნერვისტან ფაღავა - სამდივმოს უფროსი;

ბ) სოფიო ვარშალომიძე.

მუხლი 4. სამდივნოს ზედამხედველობას გაუწევს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაცია სამდივნოს წარედგინება 10 სთ-დან - 18 სთ-მდე.

მუხლი 6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება

აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდისათვის შეიქმნება საარჩევნო უბნები, აგრეთვე შესაძლებელია შეიქმნას გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები. აღნიშნული უბნების წევრების არჩევის კონკურსის გამოცხადების წესის და პირობები კანონმდებლობით ზოგადადაა გაწერილი, ამოტომ აუცილებელია უსკოს მიერ დადგინდეს და განისაზღვროს საარჩევნო უბნების წევრების ასარჩევად კონკურსის გამოცხადების წესი, ვადები და პირობები. აგრეთვე დადგინდეს კონკრეტული ვადები და გაიწეროს დეტალურად, თუ როდის უნდა მოახდინოს საოლქო კომისიებმა უბნების წევრების ასარჩევი კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო საბუთების მიღება, წევრების არჩევა, როგორც ჩვეულებრივი ასევე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო კომისიებში წევრების ასარჩევად.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

1. 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისათვის (2008 წლის 9 სექტემბერს) საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა იწყება არაუადრეს 50-ე დღისა (2008 წლის 14 სექტემბერი). არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 48-ე

დღისათვის (2008 წლის 16 სექტემბერი) მთავრდება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანდიდატმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) კანდიდატის სახელი, გვარი;

ბ) განათლება;

გ) სპეციალობა;

დ) სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

ე) საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, სადაც მას სურს წევრობა;

ვ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის შესაბამისად);

ზ) საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს);

2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი;

ბ) განმცხადებლის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

3. განმცხადებელი საკონკურსო დოკუმენტაციას საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენს პირადად.

4. თუ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ (დოკუმენტაციის მიღებისას) აცნობებს ამის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) განმცხადებელს. შესწორებული საკონკურსო დოკუმენტაცია კომისიას 1 დღეში უნდა დაუბრუნდეს, თუ ხარვეზი დადგინდა რეგისტრაციის ვადის ბოლო დღეს, შესწორებული საბუთები კომისიას უბრუნდება იმავე დღეს. რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას კომისია არ განიხილავს.

5. კანდიდატს უფლება აქვს, საკონკურსო დოკუმენტაცია შეიტანოს მხოლოდ ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობაზე.

6. კანდიდატს, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის განმავლობაში უფლება აქვს გამოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაცია ან შეცვალოს საკონკურსო ადგილი (საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება) შესაბამისი განცხადებით.

მუხლი 2.

1. საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 46-ე (2008 წლის 18 სექტემბერი) დღისა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე, მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 3.

თუ არჩევნების დღემდე 30-ე დღისათვის (2008 წლის 4 ოქტომბერი) საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იმავე დღეს 2008 წლის 4 ოქტომბერს აცხადებს საოლქო საარჩენო კომისია, 3 დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს არა უგვიანეს 27-ე დღისა (2008 წლის 7 ოქტომბერი)

მუხლი 4.

ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 29-ე დღის (2008 წლის 5 ოქტომბერი) ჩათვლით უნდა წარედგინოს აღნიშნული განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

მუხლი 5.

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 27-ე დღის (2008 წლის 7 ოქტომბერი) ჩათვლით, საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 6.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიზნით, არჩევნების დღემდე მე-14 დღისათვის (2008 წლის 20 ოქტომბერი) საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსს. არჩევნების დღემდე მე-11 დღისათვის (2008 წლის 23 ოქტომბერი) მთავრდება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა საოლქო საარჩევნო კომისიაში. კანდიდატმა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამ განკარგულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტები.

2. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი და მას უნდა დაერთოს ამ განკარგულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესი და პირობები განისაზღვრება ამ განკარგულების 1-ლი მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7.

1. საოლქო საარჩევნო კომისია გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო კომისიებთან დაკავშირებით არჩევნებამდე არაუადრეს მე-10 (2008 წლის 24 ოქტომბერი) და არა უგვიანეს მე-9 (2008 წლის 25 ოქტომბერი) დღისა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 8.

თუ არჩევნების დღემდე მე-8 დღისათვის (2008 წლის 26 ოქტომბერი) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები წევრი აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იმავე დღეს 2008 წლის 26 ოქტომბერს აცხადებს საოლქო საარჩენო კომისია, 3 დღის ვადაში ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. საოლქო საარჩევნო კომისია კანდიდატთა საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევას ახდენს არა უგვიანეს მე-5 დღისა (2008 წლის 29 ოქტომბერი)

მუხლი 9.

ხელახალ კონკურსში მონაწილეობისათვის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე მე-6 დღის (2008 წლის 28 ოქტომბრის) ჩათვლით უნდა წარედგინოს აღნიშნული განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

მუხლი 10.

1. გამონაკლის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კონკურსში მონაწილეთაგან ან ხელახლა გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების დღემდე არაუადრეს მე-6 (2008 წლის 28 ოქტომბერი) და არაუგვიანეს მე-5 (2008 წლის 29 ოქტომბერი) დღისა, საკონკურსო დოკუმენტაციას განიხილავს კონკურსში მონაწილეთა დაუსწრებლად. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კონკურსის მონაწილე მოიწვიოს გასაუბრებისათვის. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის კანდიდატებს ირჩევს სახელობითი კენჭისყრით.

2. კონკურსში მონაწილეებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე.

3. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4. თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ერთ ვაკანტურ ადგილზე ორზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლებიან მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატები.

5. თუ რომელიმე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

6. თუ გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, იგი წილისყრით განისაზღვრება.

მუხლი 11. როგორც ძირითადი ისე ხელახალი კონკურსის შედეგად არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ასევე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში უნდა მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს

საარჩევნო კოდექსი“ 37-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

მუხლი 12. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 13. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. **განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად უსკო-ს მიერ შემუშავებული იქნა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, სადაც გაიწერა არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პროცედურა და ვადები არჩევნების დაწყების დღიდან მის დასრულებამდე. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი განკარგულებით უნდა დამტკიცდეს უსკო-ს მიერ. რის საფუძველზეც აუცილებელია მოხდეს მისი დამტკიცება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად უსკო განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვსი საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს, მან აღნიშნა, რომ იმ პარტიებისათვის ვინც უმაღლეს საბჭოს არჩევნებში გადაწყვეტს მონაწილეობის მიღებას და რეგისტრაცია არ აქვს გავლილი ცესკო-ში, აუცილებელია წარმოადგინოს კანონით დადგენილი მხარდამჭერთა სია, რისთვისაც საჭიროა უსკოს მიერ დამტკიცდეს მხარდემჭერთა სიის ბლანკი, ასევე ისაუბრა საარჩევნო პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის შესახებაც, რომელიც პარტიის წარმომადგენელს უნდა გადაეცეს უსკოში პარტიის მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შემდეგ.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) მხარდამჭერთა სიის ბლანკი (ფორმა №3-07.01.03);

ბ) საარჩევნო პაარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა (6-07.02.03);

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების ღონისძიებებისათვის დაფინანსება შეადგენს 2 957 240, აქედან შრომის ანაზღაურება 2 240 640, მივლინება – 10 000, სხვა საქონელი და მომსახურება – 659 700, კაპიტალური ხარჯები – 46 900. მან აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები იმართებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში რის შემდეგაც შემუშავდა საბოლოო ვარიანტი, რაც საკმარისია არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. დაფინანსების გეგმა გადაიგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში და აღნიშნული თანხა კანონით დადგენილი მოთხოვნების

შესაბამისად ჩაირიცხება უმაღლესი საარჩევნო კომისიის ანგარიშზე. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2008 წლის 06 აგვისტოს №02-3/236 და №02-3/237 წერილების საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა თანახმად დანართისა.

2. არჩევნების დაფინასების გეგმა გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

10. განკარგულება
უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით უქმე დღეები გამოცხადებულია სამუშაო დღეებად, შესაბამისად ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და უსკოს აპარატში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი თანამშრომლებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროის მანძილზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის ყოველთვიურად სამი თვით ანაზღაურებული უნდა იქნას თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 5 სექტემბრიდან სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

11. განკარგულება:
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, ანაზღაურებული უნდა იქნას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 5 სექტემბრიდან სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

12. **განკარგულება**
უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28[1] მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგო უნდა განისაზღვროს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით. კერძოდ, ოლქში სადაც ამომრჩეველთა რაოდენობაა 50 000-დან 100 000-მდე, 430 ლარით, ხოლო სადაც ამომრჩეველთა რაოდენობაა 50 000-მდე, 390 ლარით. აგრეთვე ცსკო-ს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნულ პირებს სახელფასო ანაზღაურება ენიშნებათ ცსკო-ს მიერ, ხოლო უსკოს და

პარტიების მიერ დანიშნულ პირებს შესაბამისად – უსკოს მიერ. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

მუხლი 1. უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28^1 მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით შემდეგი ოდენობით:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-დან 100 000-მდე 430 ლარი;
2. ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-მდე 390 ლარი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

თავმჯდომარე	395 ლარი;
თავმჯდომარის მოადგილე	365 ლარი;
კომისიის მდივანი	335 ლარი;
კომისიის წევრი	285 ლარი.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

13. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიებს დამატებით ესაჭიროებათ ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი, აგრეთვე №79 ბათუმის, №81 ქობულეთისა და №83-ე ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიების დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით, ხოლო №80 ქედის, №82 შუახევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ – 5 პერსონალის ოდენობით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 32-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. №79 ბათუმის, №81 ქობულეთისა და №83-ე ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

2. №80 ქედის, №82 შუახევის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 5 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

3. საოლქო საარჩევნო კომისიებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში ამ განკარგულებით განსაზღვრულ რაოდენობის ფარგლებში დაიქირაონ არანაკლებ ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია